

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ტრენინგ-კურსის ანოტაცია

კურსის სახელწოდება: კეთილდღეობის ფსიქოლოგია.

კურსის მოცულობა: 36 საათი

კურსის ხელმძღვანელი: ნოდარ სარჯველაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული ფილოსოფიური აკადემიის აკადემიკოსი, ფსიქოლოგიური კონსულტირების საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

კონცეპტუალური ჩარჩო: კეთილდღეობა გაგებულია როგორც წარმატების მიღწევის, ბედნიერების გრძობის მაღალი ინდექსისა და ფინანსური წინსვლა-დამოუკიდებლობის ერთიანობა. როგორც ყველა განვითარებად ქვეყანაში, საქართველოს მოსახლეობაში წარმატების მიღწევის ნაცვლად ჭარბობს თვითგადარჩენისა და დახმარების მიღების მოთხოვნილება, ბედნიერების ინდექსი საკმაოდ დაბალია და ჭარბობს დეპრესიული ფონი. საჭიროა მოსახლეობის განწყობებისა და წარმოდგენების შეცვლა ცხოვრებისეული რეალობის მიმართ და მათი წარმართვა იმისაკენ, რომ შემწეობისა და დახმარების მიღებისა და შესაბამისად ხელისუფლებაზე ან სპონსორებზე მიბმულობის ნაცვლად ორიენტაცია გაუძლიერდეთ თვით-გაძლიერებისაკენ და მატერიალურ-ფსიქოლოგიური თვითკმარობისაკენ.

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: სტუდენტები, ახალგაზრდა სპეციალისტები, ბიზნესმენები, მენეჯერები და ლიდერები, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები და სხვ.

კურსის მიზანი: ტრენინგის მიზანია, მონაწილეებს გამოუმუშაოს პირადი ცხოვრების, კარიერული და ფინანსური წინსვლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

მოსალოდნელი შედეგები:

- მონაწილეები აითვისებენ წარმატების მიღწევის ფსიქოტექნოლოგიებს და დანერგავენ საკუთარ ცხოვრებაში;
- მონაწილეები აითვისებენ, დაგეგმავენ და პირად ცხოვრებაში გამოიყენებენ ფინანსური მართვისა და წინსვლის უნარ-ჩვევებს;
- მონაწილეები გაითავისებენ ხანგრძლივი ბედნიერების გრძობის თვითპროგრამირების უნარ-ჩვევების;
- ტრენინგის მონაწილეები ააგებენ კარიერული წინსვლის ინდივიდუალური გრაფიკებს;

- ტრენინგის მონაწილეები დაიწყებენ ინდივიდუალური წარმატებულ ცხოვრებისეული გზის სტრატეგიულ დაგეგმვას
- ახალგაზრდა მენარმეები ან ადამიანური რესურსების მენეჯერები ორგანიზაციული განვითარების უზრუნველსაყოფად დაიწყებენ ბედნიერებისა და წარმატების ატმოსფეროს გენერირების ტექნიკების გამოყენებას თავიანთ ფირმებსა თუ კომპანიებში;

ტრენინგის განმავლობაში ჩატარდება პრე-ტესტი და ტრენინგის შემდგომი ტესტირება სპეციალური კითხვარების საშუალებით, მონაწილეთა უკუკავშირისა მისაღებად და პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით.

ტრენინგის დასრულების შემდეგ გაიცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

კურსის აგებულება: ტრენინგი შედგება სამი ნაწილისაგან – 1) წარმატების მიღწევის ტექნოლოგიები – 12 საათი, 2) ბედნიერების ფსიქოლოგია – 12 საათი, 3) ფინანსური წინსვლის უნარ-ჩვევები – 12 საათი.

(ტრენინგის იმ მონაწილეებისათვის, რომლებიც მოისურვებენ დამატებითი ფსიქოლოგიური კონსულტაციის მიღებას, გათვალისწინებულია რამდენიმე უფასო კონსულტაცია).

ტრენინგის სტრუქტურა და შინაარსი:

	საკითხები	საათების რაოდენობა	ლიტერატურა
1.	წარმატების მიღწევის ტექნოლოგიები	12 საათი	1.A.Robbins – Awaken the giant within. Simon and Schuster LTD, London, 2001 2.Я.Макдермот, В.Яго –Практический курс НЛП. Психотехнологии успеха. Эксмо, Москва , 2006 3.J.Canfield – The success principles. Hasrper Collins

			Publishers, London, 2005 4.Б.Трейси – Достижение максимума. Поппури, Минск, 2000
2.	ბედნიერების ფსიქოლოგია	12 საათი	1.М.Е.Р.Seligman– Authentic happiness. Nicholas Brealey Publishing, 2003 2.S.Lyubomirsky – The how of happiness. A scientific approach to Getting the life you Want 3.Т. Ben-Shahar. Learn the secrets to daily joy and lasting fulfillment happier. Mc Graw Hill, 2007 4.R. Layard – Happiness.The Penguin Press, N.Y.2005 5.М.Аргайл – Психология счастья.Прогресс, Москва, 1987
3.	ფინანსური წინსვლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები	12 საათი	1. D.Bach – Start late, finish rich. A no-fail plan for achieving financial freedom at any Age. Broadway books, N.Y. 2006

ტრენინგის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:

აუდიტორია, საპროექციო სშუალებები, საკანცელარიო ნივთები, ესეროქსი, პრინტერი, დაფა.